№ 69 მარტი 28, პარასკევი 1886 მარტი 28, პარასკევი № 69

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

კვირას, 30 მარტს

არწრუნისეულს თეატრში.

«ქართულის დრამატიულის საზოგადოების სასარგებლოდ გამართული იქნება:

სალიტერატურო საღამო

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. გაბუნია, საფაროვისა, ბბ. თ. რაფ. ერისთავი, თ. აკაკი წერეთელი, პ. უმიკაშვილი, არ. ქუთათელაძე, ნიკ. ავალოვი, აბაშიძე, აწყურელი, გუნია, და ქართული ხორო.

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი

დასაწყისი 8 საათზედ.

ბილეთები ისყიდება ამ თავითვე თეატრის კასსაში. (3—2)

ტფილისი, 26 მარტს

ნორმანებმა რომ დაიპყრეს ინგლისი, მთელი ადგილ-მამული ამ ქვეყნისა აღიარებულ იქმნა საკუთარ კუთვნილებად ნორმანთა წინამძღვარისა, კოროლისა. კოროლმა, როგორც უკვე გუშინდელის წერილიდამ ვიცით, 32,100 თავის რაინდს დაურიგა მთელი მიწები ინგლისისა, მათ გარდა, რომელიც ეკკლესიას და სამღვდელოებას არგუნა, და ამისათვის ხარკი და სამხედრო ბეგარა დაადო. ამ რაინდთა გარდა 23,000 წინანდელ მკვიდრთა ინგლის-საქსონთა და ბრიტტთა შთამომავლობისას დაუტოვა მათი მამული და დანარჩენნი დასტოვა მფლობელად მამულებისა იმ პირობით, რომ მამულების გამო იმისთანა სამსახურივე უნდა გაეწიათ ლორდებისათვის, როგორც ლორდები კოროლისათვის ეწეოდნენ. კარლმა II 1676 წელსა 32,100 ლორდსა და 23,000 წვრილ მესაკუთრესა თავისის სტატუტით დაუმტკიცა განსაკუთრებულ კუთვნილებად ერთხელ კოროლისაგან ბოძებული მამულები. ამ დღიდამ მიწათ-მფლობელობა ლორდებისა და წვრილთა მესაკუთრეთა ხელში უფრო გამტკიცდა და გამაგრდა. სხვა ყველაფერში, ესე იგი, კანონისა, სამართლისა და სახელმწიფოს წინაშე ყოველი კაცი თავისუფლად დარჩა, თანასწორის უფლებისა იყო. იმ 23,000 წვრილთა მესაკუთრესაგან შესდგა ის ერთი წოდება მიწათ-მფლობელისა, რომელსაც «ჯენტრი» ეწოდა და რომელიც შეიქმნა ერის წარმომადგენელად ქვედა-პალატაში და ლორდებმა კი, ესე იგი, სხვილთა მებატონეთა ზედა-პალატა ჩაიგდეს ხელში მემკვიდრეობით და არა არჩევანითა.

ამ სახით მიწათ-მფლობელობა ინგლის-ვალისისა არც «ფეოდი» იყო, არც «ალლოდი», როგორც სხვაგან. ფეოდი იმიტომ არა, რომ არავითარი პირადი უფლება არა ჰქონდა ინგლისის ლორდს მის მამულზედ დასახლებულს კაცზედა, ეგრედ-წოდებული «პატრიმონიალური სამართალი და გამგეობა» ინგლისის ლორდმა არ დაიჩემა. ალლოდი კიდევ იმიტომ, რომ ადგილ - მამულები, რომელიც ლორდებს ჯერ ეჭირათ კოროლისაგან, და მერე დაიმტკიცეს კიდეც საკუთარ კუთვნილებათ, თავისუფალნი არ იყვნენ ხარკისა და სამსახურისაგან და არც ცდილობდნენ გაეთავისუფლებიათ. ამ სახის მფლობელობამ, რომელიც ალლოდსაც ცოტა წააგავდა და ფეოდსაც, მთლად კი არც ერთი იყო, არც მეორე, ისა ჰქმნა, რომ მიწათ-მფლობელობა წოდებათა განსაკუთრებულ უფლებათ არ გადაიქცა. ინგლისში თავიდამვე დღევანდლამდე ყველას უფლება აქვს იქონიოს მამული, თვით პირველის ლორდის მამულიც იყიდოს, მამული დაუბრკოლებლად თავად თუ აზნაურისაგან სხვა-და-სხვა ხელში, თუნდა გლეხისამიაც, ასე თუ ისე გადავიდეს. ეგრედ წოდებული «ფიდეიკომისი, მაიორატობა» *), ინგლისის კანონისაგან თავის დღეში აღიარებული არ ყოფილა, ინგლისის კანონ-მდებლობაში დღესაც ადგილი არა აქვს. ეს იქნება ბევრს ვისმეს ეუცოს, მაგრამ ესე კია. საქმით კი მაიორატობა არის და ყოფილა კიდეც, თუმცა მემკვიდრეებისათვის არც უწინ და არც დღეს სავალდებულო არ არის კანონის მხრით. მაიორატობა ინგლისში მარტო ჩვეულების ძალით არსებობს. ჩვეულება კიდევ იქიდამ წარმოსდგა, რომ ინგლისის ლორდები არასფერში არ შეეცილნენ ერს, ყოველივე საპოლიტიკო და მოქალაქობრივი უფლება განუზიარეს, ამ მხრით არასფერი უპირატესობა არ დაიჩემეს მარტო იმისათვის, რომ მიწათ-მფლობელობაში მოცილე არავინა ჰყოლოდათ. აქაც ძალ-მომრეობას მოერიდნენ, არ იკადრეს და მამულების დაჩემება მშვიდობიანად მოახერხეს. რაზედ დააფუძნეს ეს ხერხი? მხოლოდ სიმდიდრეზედ, ქონებაზედ. მიწათ-მფლობელობის სიმდიდრის და ქონების მტერი გაყრა-გამოყრაა მემკვიდრეებისა, მამულების დანაწილებაა, დანამცეცებაა. აი სად არის სათავე, რომ ლორდის სახლობაში მაიორატობა ჩამოვარდა და სახლის კაცთაც ეს იკისრეს და არ ეურჩნენ, რადგანაც ინგლისში მიწათ-მფლობელობა დიდ-კაცობის ხელში თავის მოყრისათვის პირველ დღიდგანვე მიიზიდებოდა. რადგანაც სიმდიდრე და დიდი მამულები შერჩათ, ლორდებმა წვრილნი მეპატრონენი ფულით დაახარბეს, დიდ-ძალი ფული აძლიეს და ნელ-ნელა ნება-ყოფლობით შეისყიდეს მათი მამულები ასე, რომ 1831 წ. მაგისთანა მეპატრონეთაგან სულ 7,200 სახლი-ღა დარჩა. ეს ერთი მიზეზი, რამანც შეამცირა და თითქმის ბოლო მოუღო წვრილთა მეპატრონეთა და მათი მამულები ლორდების ხელში ჩააგდო. დანარჩენი ასეთი, თუ ისეთი მიწათ-მფლობელნი, რომელთაც ლორდებისათვის სამსახური უნდა გაეწიათ, უწინდელ წესიდამ ჯერ გრძელ ვადის იჯარადრობაზედ გადიყვანეს, მერე მოკლე ვადისაზედ, ბოლოს მამულის მიცემა ლორდის ნება-ყოფლობაზედ-ღა ჩამოვიდა. აქაც, რასაკვირველია, ლორდების ფულმა დიდი სამსახური გაუწია. ბოლოს ხომ ფერმერობაზედ შედგა საქმე და დღესაც ასეა. XVIII საუკუნეში მაინც კიდევ 7,800,000 აკრი თავისუფალი სათემო მიწა იყო. მაგრამ ეს მამულებიც ლორდებმა ჩაიგდეს ხელში და სამართლის წინაშე საბუთად იხმარეს რაღაც ბუნდი სიტყვები კარლ II 1676 წ. სტატუტისა. სათემოდ მფლობელთა მკვიდრთა ვერ გაუძლეს უშველებელს ხარჯს

---

*) მაიორატობა, უფროსთ-მფლობელობათ თუ ითარგმნება ქართულად. სახლში უფროსი მარტო დაირჩენს მამულს, სხვა მემკვიდრეებს ფულით, თუ სხვა რამით შეიჯერებს. მაიორატობაში ჩავარდნილი მამული ვერც გაიყიდება, ვერც დაგირავდება, ვერც უფროსს შვილს ჩამოერთმევა.

ფელეტონი

გმირისეულის ქალი

(მოთხრობა)

VI

(შემდეგი *)

რამოდენსამე ხანს დუმილი ჩამოვარდა; როგორც სალომეს, ისე პარმენ ჯობინაშვილს სურდათ გმირისეულისთვის გულ-ახდით, პირ-და-პირ განეცხადებინათ თვისი აზრი, თვისი გარდაწყვეტილება, მაგრამ ვერც ერთი ვერა ჰბედავდა დაწყებას, რადგანაც გმირისეულის უარესად გაცეცხლებისა ეშინოდათ. სალომე და პარმენი ურთი-ერთის თვალებში კითხულობდნენ ამას; თვალებს ათამაშებდნენ; თვალის ძარღვებს სძაბავდნენ; ფიქრობდნენ. სალომეს სულმა უსწრაფა, და ანიშნა თვალით, რომ პირ-და-პირ გამოელაპარაკებიყო გმირისეულს და გამოეცხადებინა თვეიანთი ხვაშიადი.

პარმენი მოსწორდა, გაიმართა სალაპარაკოდ, პირზე ხელი ჩამოისვა, აი აგერ გაალო კიდეც ბაგე სასაუბროდ, მაგრამ შეჩერდა. «ვაი, თუ გული მომიკლას, დაყრანტალების უმალვე, კარზედ გამიძახოს ამ ჯიუტმა ადამიანმა და რაღა მეშველება; ხომ დამეწვის სულიც და გულიც, გავიგონებ თუ არა გმირისეულისაგან უარს სალომესთან შეუღლებაზე და ამიტომ სჯობს, რომ კრინტი არ დავძრა», იფიქრა პარმენმა და მოკუმა პირი. მაგრამ მეორე მხრივ რომ შეხედა საქმეს, მაშინ დარწმუნდა, რომ უთქმელობა არ შეიძლება, საქმეს გაგება უნდა და თუ არ გამოცხადდება მათი ფარული აზრი, არ შეიძლება, და მაშინ კი ავიც გაიგება და კარგიც: სალომე იქნება მისი და ის სალომესი, თუ არა.

— მე გიმაჰანკლებთ, ბატონო, მე. რათ გადაჰკიდებიხართ მოურავესა; არ იცოდით, რომ ის თავისკენ დაუწყებდა მწვადს თლასა; მაშ მეტი რა ხელობა აქვს მოურავსა, დაიწყო გაბედვით პარმენმა, თუმცა თითონაც მოურავისამებრ მწვადს თავისკენ დაუპირა თლა.

— არიქა, პარმენ! ჩაუკრა თვალი სალომემ, რომ უფრო წაეხალისებინა.

გმირისეული წამოჯდა, თვალებიდამ სისხლი მოსცილდა და გაუბრწყინდნენ, სახეზედ სიამოვნება გამოუკრთა; იგი მოუთმენლად მოელოდა პარმენისაგან სიტყვის დათავებას.

— აბა, ქა! ვინ არის ქა, ვინა? საჩქაროდ მიატანა პარმენს სიტყვა.

— ერთი ღერი ბიჭი ვიცი. აქ პარმენი ადგა, ქუდი ხელში აიღო, მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეშინოდა ხვაშიადის გამხელა; იგი განემზადა გასაქცევად, რადგან დარწმუნებული იყო, რომ გმირისეული სალომეს გახსენებაზე, მას თავზე ღველფს გადააყრიდა. დიახ!— განაგრძო პარმენმა: ის ერთი ღერი ბიჭია; თავისთვინ ცოტა ფულიცა აქვს; ეხლა სწადიან მოჰკიდოს რასმე საქმეს ხელი. შენ რომ ის ზედ-სიძედ შემოიყვანო, სწორედ ისიც ბედნიერი იქნება, შენი სალომეცა; ისინი ერთმანერთს არ დაიწუნებენ, იმედი მაქვს.

— ბეჩა და მთავარი სული ნუ ამომართვი, სთქვი, ვინ არის? ბარემ ამ ალებაში პირ-და-პირ ჯვარს გადავაწერინებ მოურავის გამოჯავრებული. თუ ფარსაგია ვინმე, რაღას მოუცდი, ქალი გამზითვეული მყავს; სულ ერთი კვირაღა დაგვრჩენია ამ ალებისა.

— რაღა ბევრი გაგიგრძელო, გაგიგრძელდეს სიცოცხლე, ის ღერ-ბიჭა მე... მე ვარ, სულის გუბებით წარმოსთქვა პარმენმა.

მოლოდინში გმირისეული პირ-ღია დარჩა; თვალები ცეცხლით აევსო და ნაბერწკალები სცვიოდნენ; გაშმაგებულმა თვალი მიაელ-მოაელო იქაურობას; ტუჩებზე ხელი მიიფარა, ცოფიანივით წამოვარდა, გადმოხედა ქალს, რომელიც თავ-ჩაღუნული იდგა და დედის მრისხანე განჩინებას მოელოდდა.

— სალომე, გაიგე, შვილო, რა სთქვა? გმირისეულმა დონჯი შემოიყარა, მიადგა ტახტის პირს და არწივებრ მრისხანედ გადმოადგა შვილს თავზედ, რომლისაგანაც მოელოდა გულის დასამშვიდებელს პასუხს.

— გავიგე, უპასუხა დინჯად ქალმა: პარმენი სწორეს ამბობს. მართალს ვიტყვი: ჩვენ, მე და პარმენი, აგერ რამდენიმე თვეა ერთმანერთს შევეფიცენით ცოლ-ქმრობის სიმტკიცეზე. ჩვენ ერთმანერთი გვიყვარს, როგორც ნამდვილს, ქორწინებით შეუღლებულ ცოლ-ქმარსა...

— ჰა, ჰა! გადმოხვნეშა ტახტიდამ დედამ და წინწკლებით აავსო ჰაერი. როგორ...

— მაცა, დედა, დაუჭირა გაშმაგებულს დედას ხელი ქალმა. მაცა; მამისმინე, და მერე თუ გინდა დამახრჩვე, სად წაგივალ.

მაგრამ გმირისეულს რაღა მოათმენინებდა; იგი გახელდა, გაშმაგდა და პირიდამ ცეცხლი სწვიმდა.

— გადი, გადი, გადი ჩემის სახლიდამ! დაეცა თავზედ პარმენს მეხივით.

პარმენს აღარ ედგომილებოდა. ის სწრაფად გავარდა, თავს უშველა; შერჩა ხელთ საბრალო ქალი, რომელსაც ზედ დაანთხია თვისი ბრაზი.

— და შენ, კარგო ქალო, ნამუსიანო ქალო, შენის კბილით შენს ხორცს შეგაჭმევ. ამ ოთხ კედელს შუა სიცოცხლეს მოგიწამლავ და დაგიღნობ... რაო, რაო? ცოლ-ქმრობის პირობა გვაქვსო? მინამ არა ჭამერა, მინამ ბატონის სახლში ნაგდებს პარმენას არ მიგცე და ჩემ სარჩო-საბადებელზე არ ვაპარპაშო.

— მაშ ვინ გნებავს, ადამიანო! სამღვდლო არ მირთავს, აზნაური ყურებში თითს იცოფს, ფარსადანა მოურავს შენც რომ მიმცე, მე არ გავყვები; პარმენას არ მაძლევ და ვინ წამიყვანს...

— აქ არ იქმნება, სხვაგან მოვძებნი; რკინის ქალამანს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს დავიჭერ, დუნიას დავივლი და კაი კაცის შვილს კი მიგცემ, კაი გვარის შვილსა-მეთქი! გაიგე?

— რას ეძახი კაი გვარის შვილს? დედა-ჩემო, შენი ცდა ტყუილი ცდა-

---

*) იხილე «ივერია» № 63, 64, 67 და 68.

სამართლისას მაშინ, როდესაც ლორდები არც ადვოკატებზედ ჰზოგავდნენ რასმეს და არც სამართლის აუარებელს ხარჯს მოერიდნენ, რომ ზემოხსენებულ სტატუტის ბუნდი სიტყვები თავიანთ სასარგებლოდ აეხსნათ კანონის წინაშე. ამ სახით ეს მიწებიც, რომელიც «ვერანა» მიწებათ იცნეს, ლორდებმა მიაწებეს თავიანთ საკუთრებას თუ სულ არა, ბევრად გადამეტებული ნაწილი მაინც. ამ მოკლედ ჩამოთვლილ მიზეზებისა გამო იმ წინანდელმა რიცხვმა რაინდებისამ, რომელთაც XI საუკუნეში კოროლისაგან ებოძათ მამული, არც იმატა და თითქმის არც იკლო, დღეს თითქმის იგივე დარჩა, სახელდობრ 30,766 სახლი; მამულები სულ შემოიკრიბა და თავის ხელში დაინარჩუნა და თვის ახლო წვრილნი მეპატრონენი და სხვა მფლობელნი მიწისა არ ახეირა. დღეს ამ შთამომავლობას რაინდებისას ეკუთვნის თითქმის მთელი ინგლის-ვალისი, საცა 32 მილიონზე მეტი დღიურია და 20 მილლიონზედ მეტი მცხოვრები*).

ამ წყობილებამ ადგილ მამულისამ ისე მაგრად მოიკიდა ფეხი, რომ სახელმწიფოსაც კი შეეცილა, შენ უფლება არა გაქვს საადგილ-მამულო საქმეში გაერიოო, ადგილ-მამული ხელ-შეუხებელი კუთვნილებაა პატრონისაო. პირველი მაგალითი მისი, რომ სახელმწიფომ ეს ზვიადი აზრი შეარყია 1845 წ. მოხდა, როცა ეგრედწოდებული ,,*Inclosure Act*''-ი გამოსცა პარლამენტმა, მერე გრეიმ თავის მინისტრობის დროს და რობერტ პილმა კარგა ფხა მოაკვეთა ამ ზვიადს აზრს, ბოლოს ხომ გლადსტონმა თავის «*Jrish Land Bill*»-ით სრულად შეარყია ეს აზრი და იმისთანა გამოჩენილთა მეცნიერთა, როგორც სტუარტ მილლმა და სახელმწიფო კაცმა ბრაიტმა მხარი მისცეს გლადსტონის დედა-აზრსა. აი გლადსტონმა რა სთქვა ერთხელ პარლამენტში მამულების იჯარით გაცემის თაობაზედ: «არა ქვეყანაში, რომელიც კი ჯან-მრთელია და წესიერი საზოგადოებრივი წყობა აქვს, შესაძლო არ არის განუსაზღვრელი თავისუფლება მიეცეთ კერძო კაცთა, რა პირობითაც უნდათ ერთი-ერთმანეთს იმ პირობით შეეკვრნენო. ინგლისის კანონებში ბევრი მაგალითია, რომ კერძო ხელ-შეკრულობათა გამო სახელმწიფო ჩარეულიყოს საქმეშიო». გლადსტონს ამითი იმის თქმა უნდოდა, რომ ადგილ-მამული იჯარით გასაცემად უნდა ემორჩილებოდეს რაიმე კანონსაო და არ უნდა იყვესო ან ერთის მძლავრობაზედ, ან მეორეს უილაჯობაზედ დამოკიდებულიო. ეს აზრი მეტად ფეხ-მძიმედ ტრიალებს ინგლისში და გასაკვირველიც არ არის. მთელი ლორდობა განგებ და ამათზედ დამოკიდებული ფერმერობა ძალა-უნებურად ქვეშ უდგია საკუთრების ხელ-შეუხებლობას და უფრო მეტი ძალა კანონ-მდებლობისა ამ ორ წოდებათა ხელშია, რადგანაც ლორდები ქვედა პალატაში თავიანთ კაცებს არჩევინებენ ლორდების მამულებზედ დასახლებულ ფერმერებსა.

ი.

---

*) გამოჩენილ მეცნიერის მაკს ვირტის სიტყვით ინგლის-ვალისში ყოფილა:

	1861 წ.	1871 წ.
მცხოვრებელი	20,066,224 .	22,712,266.
მათ შორის:		
მამულის მესაკუთრენი. . . .	— 30,766 .	— 22,964.
მიწათ-მომქმედნი და სოფლის მუშანი.	1,098,261 .	— 922,054.

ახალი ამბავი

⁂ გორიდამ გვწერენ: ოც-და-სამს მარტს საღამოთი დაიწყო წვიმა, რომელსაც თოვლი მოჰყვა, ასე რომ ოც-და-ოთხს დილით ბარად და მთებზე ნახევარ ადლამდე თოვლი დასდო; მთელი ეს დღე ითოვლა; ოც-და-ხუთს საღამოსაც დიდი წვიმა მოვიდა; ჰაერი ერთობ გაცივდა და ისევ თოვლა იწყო. გვალვიანი ზამთრის შემდეგ ეს თოვლი და წვიმა ნათესისათვის დიდი ღვთის მოწყალებააო, ამბობს ხალხი. დააზარალებს მხოლოდ ნაადრევს ხილს: ტყემალს, ნუშს, ატამს, ზოგან ვაზსაც, მაგრამ, რადგანაც ჯერ კარგად არ იყო გამოწეული, შეიძლება მეორედ გამოიტანოსო. ამის მაგალითები ბევრი ყოფილაო, ამბობენ მოხუცებული გლეხები. ესენი ხილს არა სჩივიან, ოღონდ კი ნათესმა იხეიროს. პურმა აიწია; აქამდე გორში სასწორზედ ფუთს ჰყიდდნენ სამ აბაზად; ეხლა კი მანეთად გახდა. უფრო აიწევსო, თუ ევროპის აღმოსავლეთისკენ თოფი გავარდაო. ქართლის ვაჭრები ამის მონატურები არიან, რადგან დიდძალი ხორბალი აქვთ მოგროვილი.

⁂ იქიდამვე გვწერენ შემდეგს სამწუხარო ამბავს: ამას წინად ყმაწვილები შეყრილან საქეიფოდ. თ. გ. ა—ბი ძალი-ძალად შეუყვანიათ ნაცნობებს. სადილზე გადაჰკიდებია აზ. მა—ძე; ხან დაუცინია, ხან «დურაკიჩი» უძახნია, ხან რა და ხან რა. ა—ბი გამოსცლია, «აქ ჩხუბის დრო არ არის და გაგეცლებითო», მ—ძე გამოსდევნებია. «აი აქ გავსწორდეთო», უთქვამს მ—ძეს. შეჰყოლიან და მოსვლიათ მაღალი ლაპარაკი; მ—ძე წასტანებია დასაკრავად; ა—ბს დაუსწვერია და ცხვირ-პირი მიუჭეჭყნია; მეორედ რომ წამოსტანებია, ა—ბს, ჰგონებია რა, რომ მ—ძე გადმამქელავსო, უძვრია ხანჯალი და, როდესაც მ—ძე დასაკრავად ხელ-აღებული გამოქანებულა, ჩამოუკრავს მკლავში და მიუჩეხნია.

გამოძიება სწარმოებს ამ საქმის გამო.

⁂ მკითხველს ეხსომება, რა ცილი დასწამა «Московскія Вѣдомости»-ებმა ტფილისის საქალაქო გამგეობას, როცა ამ გაზეთმა თავისებურის რიხითა და უზრდელობით წამოროხა, ტფილისის გამგეობამ წყლის გასაყვანად საჭირო რკინის მილები ბელგიის კამპანიას შეუკვეთა და არა რუსეთის მექარხნეებსაო. საწყალს გამგეობას კინაღამ ღალატი შესწამა გაზეთმა ამ ქცევისათვის: თქვენ არ გინდათ, რუსეთის რკინეულობას გასავალი მისცეთ, გინდათ გზა შეუკრათო და თან მმართებლობის წინაშე შუამდგომლობთ, რომ უცხოეთიდამ მილები უბაჟოდ შემოგატავინონო. ამ საგნის გამო ქალაქის გამგეობის წევრს იზმაილოვს დაუბეჭდია წერილი გაზ. «Новое Время»-ში და ცხადად ამტკიცებს, რომ ბელგიიდამ მოტანილი მილები ბევრად იაფად დაუჯდება ქალაქს, თუნდა ბაჟიც გადაიხადოს, ვიდრე რუსეთის მექარხნეებისაგან მოტანილი მილებიო. ჩვენ იმის მეტი არა გვინდოდა-რა, რომ იაფად დაგვჯდომოდა საჭირო მასალაო, ამბობს სამართლიანად იზმაილოვი და აი რა ფასები მოჰყავს სამზღვარ-გარეთისა და რუსეთის ქარხნის მილებისა: ბელგიის მილები ჰღირს ფუთი 1 მან. 4 კაპ. და ბაჟი 98 კაპ. სულ 2 მან. 2 კაპ. პასტუხოვის ქარხანამ კი გვთხოვა 2 მან. 3 კაპ. და ათასი სხვა დამაბრკოლებელი მიზეზები წამოგვიყენაო. როცა ჩვენ პირობით კიდეც შევეკარით ბელგიის კამპანიას, პასტუხოვი გასწყრა და მე პირად ნაკაზნოი ატამანთან მიჩივლა და ასე დამემუქრა, რომ კატკოვთანაც დაგაბეზღებო და მართლაც შეუსრულებია თავისი მუქარაო.

⁂ ფოსტის გამცარცველთ, ტფილისსა და მცხეთას შუა, განასამართლებენ სამხედრო სამართლითაო. ამავე სამართლით განასამართლებენ ერევნის 8 მცხოვრებელთ, რომელთაც მოჰკლეს აქციზის ზედამხედველის თანაშემწეო, ამბობს გაზ. «Новости».

⁂ 24 მარტს სურამიდამ იწერებიან: «გუშინ, საღამოს 6 საათზე დაჰბერა ძლიერმა დასავლეთის ქარმა და თოვლი მოვიდა. იმდენს ხანს მოდიოდა თოვლი, რომ თითქმის ნახევარ არშინზე იდვაო. (გაზ. «Нов. Обоз.»)

⁂ ტფილისში ჯერ აქამომდეც არ არის კარგი საყასბო, რომ წესზედ იყოს აშენებული. ეხლანდელი საყასბო, რომელიც ნავთლუღში იმყოფება, დროებითია, არ არის კარგა მომართული, რის გამოც მეტად ძნელია სიჭუჭყისა და სიბინძურის მოსპობა, რომელიც იქ არსებობს. ძნელია აგრეთვე რიგიანის წესების შემოღება, რომ პირუტყვი რიგიანად იკვლოდეს და დანაშთენიც თავის დროზე აიწმინდოს და აიკრიფოს ხოლმე. ჯერ წარსულის წლის ნოემბრის თთვეშივე საბჭომ ამოარჩია ცალკე კომისია ხმოვანთაგან, რომელთაც მიანდო, რომ ერთის თთვის განმავლობაში დაეთვალიერებინა გამგეობისაგან საყასბოდ დანიშნული ალაგები, მაგრამ კამისია, როგორც გვატყობინებენ, ჯერ აქამდინაც არ შესდგომია ხსენებულის ადგილების გასინჯვას. კომისიის წევრების მიზეზით, უეჭველია, კიდევ დიდხანს ინებივრებს საბჭოს სამწერლო ყუთებში რიგიანის საყასბოს დაარსების საქმე. (გაზ. «Кавказъ»)

⁂ ამავე გაზეთსა სწერენ, რომ ოზურგეთის მაზრას, სოფ. ხანოს მყოფი გაქცეული ავაზაკი გოგია ლომჯარია 21 მარტს, საღამოს 3 საათზე მოუკლავთ. ეს ლომჯარია, ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწის მოკვლისათვის, ორ წელიწადნახევარი ქუთაისის ციხეში იმყოფებოდა და ქუთაისის ოლქის სასამართლოსაგან კატორგა ჰქონდა გარდაწყვეტილი, მაგრამ, რაღაც შემთხვე-

---

ლაა; შევცდი, თუ რაც მომივიდა, მე პარმენი შემიყვარდა და იმას მე შევუყვარდი—ამას გულ-წრფელად გეუბნები. ჩვენ ამ ჟამად ერთმანერთის თავს აღარა გვირჩევნიან-რა. პარმენი არ არის უგონო კაცი; ის ხერხიანია; ცოტა ფულიც შეუგროვებია თავის სიცოცხლეში; ცოტა ჩვენცა გვაქვს; ის რამე საქმეს დაადგება და ვიცხოვრებთ ტკბილად და აუშფოთებლად. წამოსაძახილად ხომ არ გვექნება გამხდარი ჩვენი თავები, ხომ წამ-და-უწუმ არ წამომძახებს: ჰაი შე ნაძრახის დედის შვილოვო. ეისაც შენ გსურს მიმცე, ჯერ არც კი შეურთავარ, შორიდამ ტუჩი მკრეს და ნაძრახის დედის შვილი მიწოდეს, და რომ შემირთონ, ხომ ყოველ ნაბიჯზედ ეგ უნდა მიძახონ, მცირეოდნად ვაწყენინებ თუ არა, და შენც აგაშფოთონ და მეც მამიწამლონ საუკუნოდ სიცოცხლე. ეს სანატრელია განა? აბა დაფიქრდი დედა-ჩემო, და ისე გამამტყუნე. საქმეს ნუ გაახიახებ; მე უკანასკნელად გიცხადებ: პარმენს მე სიკვდილის მეტი ვერა მომაშორებს-რა; ჩვენის კავშირის დამშლელი სიკვდილია; ჩვენში გარდა სიყვარულისა, სხვა საგანიც არის სიყვარულის განმამტკიცებელი საგანი, რომლის დამალვა ყოვლად აუცილებელია.

— დაბრმავდით თვალებო, დადექით ყურებო! ეს რა მესმის! ჩაიარა ფუჭად ამოდენა ხნის გმირისეულის ღვაწლმა და შრომამა! რა არ მოვიქმედე! რა არ ჩავიდინე შენის ბედნიერებისათვის!.. ოოჰ, ასეთ თავ-ზარ დავცემ, ასეთს ჭირს შევყრი იმ შენ პარმენსა, რომ ორთავენი თან გადაჰყვეთ... ნუ დაანებებ თავსა, ნუ! ვნახოთ!?

— თუნდ მოჰკლა, თუნდ დაასახიჩრო, მე სხვის შემრთველი არა ვარ. რაც უნდა ჭირი მიადგეს, ჩემი გული იმას ვერ დაივიწყებს; მე ის მარად მეყვარება და მისი სახე ჩემის გულიდამ არ ამოიშლება;

«ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი შწირსა არ დამრიდად;
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად».

ასეა საქმე და თქვენ რაც გწადიანთ, შეასრულეთ.

გმირისეული გამეხდა; ბოლოს მივიდა ქალთან, თვალებში ჩაასტერდა; შემდეგ დაწყნარებით, მტკიცედ უთხრა:

— მაშ ეს გმირისეული გმირისეული ნულარ ყოფილა; მაშ ეს ცხვირი ნულარა ჰბმია, თუ მე შენ შენსას გაგაყვანინებ.

ამითი გაათავა გმირისეულმა და მტკიცედ შეუდგა თავის აზრის განხორციელებას—პარმენის მოკვლას, ან ისედ ნაირად დასახიჩრებას, რომ ქალი აღარ გაჰყოლიყო. ხოლო იმ ნერგს, რომელიც პარმენის მიერ სალომეს გულში აღმოცენებულიყო, იგი, თავის აზრით, ადვილად გაახმობდა, აღმოფხვრიდა, მოსწმენდდა ფარულად თავის ქალს ნამუსს და მერე თავის ნებაზე წაიყვანდა. განიზრახა იმ ქროლა მოურავის დასიძევება, რომელიც ისე საზიზღრად მიაჩნდა, ოღონდ კი თავისი გაეყვანა და ვილაც უთვისტომო მზარეულს კი ნუ გაჰყოლოდა. მისმა კერპობამ მალე შეასრულა თვისი წადილი; ბოროტის ენით შეაცდინა თვისი ძმისწული და პარმენი, როგორც უკვე ვიცით, მოაკვლევინა საყდრის კარწინ. მაგრამ იუდა მოტყუვდა ანგარიშში; მისმა ქალმა თვისი პირობა შეასრულა; სიყვარულს არ უღალატა; იოტის ოდენადაც არ შესცვალა თვისი აზრი. მაშინ გმირისეულს დაუტრიალდა გულ-ღვიძლში ცეცხლი, რომელიც ჰქენჯნიდა მის სულს, სტანჯავდა და აწუხებდა. მას ენა დაება, სიმუნჯე დაემართა და რამდენსამე საათს ენის ამოგნება არ ძალ ედვა.

როდესაც პარმენი უსულოდ დაეშვა ცაცხვს ქვეშ, ეს ამბავი წამზე მთელს სოფელს ელდასავით მოედო. სალომე, გმირისეულის ქალი, კარებზე მიდი-მოდიოდა, როდესაც შეიტყო, რომ პარმენი მისმა დედამ მოაკვლევინა. იტაცა თმაში ხელი, შევარდა სახლში და მოჰრთო ძახილი საცოდაეის ხმით; თვალთ დაუბნელდა; აუდუღდა გული; თვალთ ხელსახოცი მიიფარა და მთლად ცრემლად დაიღვარა; გული გახეთქას ლამოდა, რომ ცრემლს არ მოესწრო და არ ეშველავთნა. გმირისეულმა ნახა რა ამ გვარი სურათი თავის ქალისა, გული მოეფხანა, იამა.

— შეგისრულე დაპირებული, კარგო ქალო, თუ არა? წადი, ნახე შენი მიჯნური, თუ არ მოკვდება, ისე დამახინჯდება, რომ აღარ გამოდგეს კაცადა. ახლა თუ გერჩიოს, ნუ დამყვები ნებასა, ნუ! შე ჯიუტო, ჯიუტის შვილო, შენა!

გულ-ადუღებული სალომე რას იტყოდა; ეცადა თავი შეეკავებინა, ცრემლი შეეყენებინა, რომ დედისთვის პასუხი ეგო; თავს დააძალა; წარმოსთქვა რაღდენიმე სიტყვა; მას მოჯობება დაეტყო.

— ის მოკვდა, დედა-ჩემო, მაგრამ შენც მოკვდები და შენთან ერთად ამოსწყდება ერთი კომლი კაცი, შენგან გაბრიყვებული. ამას სამართალი არ დასთმობს. ღმერთი სამართლიანია, ის შენ დაგსჯის, თუნდაც ადამიანისაგან თავი გადინარჩუნო. იქამდე აგიხვია თვალები ბოროტმა სულმა, რომ პარმენი საჯაროდ, სახალხოდ მოაკვლევინე... დიახ, შენ მოჰკალ ჩემი პარმენი, მოჰკალ შენი ქალი და გაახმე ის ნერგი, რომელიც მე მისგან მიმიღია.

— სწორედ ეგრეა, გახმეს დიახაც; გაგიხმობ კიდევაც, მალე!

— ის ნერგი, რომელიც მე მუცლად მიღია, არ არის ნერგი გარყვნილობისა, ის არის სიყვარულისა, უმანკო, შეუგინებელის სიყვარულისა. ამ ნერგს ჩემზე, ჩემს სიკვდილზე უმალ ვერავინ გაახმობს: ჯერ მე მოვკვდები და მერე ის. პარმენი მოკვდა; ის იყო უდედ-მამო, უთვისტომო, ამოწყვეტილი, მაგრამ... დედა! გაიგონე, ჩაიჭდიე გულში... მაგრამ მე შენი სახლიდამ დღეიდამვე მივდივარ; წავალ, სოფელი განიერია, უკედ დავრჩები და პარმენს გაუზდი მისგან მობარებულს ამანათს, რომ აღვადგინო მისი სახელი, რომ მისი სახსენებელი ქვეყანაზე არ გაწყვიტოს. ეს ჩემი მტკიცე და შეურყეველი გარდაწყვეტილებაა.

თქმული კიდევაც შეასრულა.

ს. მგალობლიშვილი

(შემდეგი იქნება)

ვით, ციხიდამ გაქცევა მოახერხა. იმედი უნდა ვიქონიოთო, დასძენს გაზეთი, რომ უკანასკნელის ავაზაკის მოკვლის შემდეგ, მთელს მაზრაში სრული მშვიდობიანობა იქნებაო.

⁂ ერთს ტფილისის რუსულს გაზეთთაგანს შეუტყვია, რომ ტფილისში ცნობილი ახალციხ-ახალქალაქის ვიკარი, არხიმანდრიტი ხორენ სტეფანე, სომხების უმაღლესის სამღვდელო გამგეობის განკარგულებით, ახალ-ციხიდგან ახბადის მონასტერში გადაუყვანიათ.

⁂ ყუბიდგან იწერებიან: ვიღაცა «აზიზ ეფენდიევი 2 იანვარს ყუბიდგან ტფილისში წამოსულა საქმის საშოვნელად. 6 იანვარს, როდესაც ქ. ბაქოში ჩასულა, იქ მოუკლავთო. შემდეგ გამოჩნდა, რომ აზიზ ეფენდიევს ყუბაშიაც და ბაქოშიაც მტრები ჰყოლია. როდესაც ყუბაში იმის მტრებს გაუგონიათ, რომ პოლიციის გამგეობიდგან ბაშფორთ იღებს სხვაგან წასასვლელად, ბაქოში მიუწერიათ და იქ ერთს ყუბანელს მოუკლავს. მოკლულის გვამი ექვსი დღე სახლში ჰქონებიათ და მეშვიდე დღეს გამოუტანიათ და ბილანჯერის გზის ახლო დაუგდიათ. ამბობენ, რომ ამ მკვლელობის ხელის შემწყობი ყოფილა ერთი ყუბანელი ბ. ამ ბეგის ქალს შეჰყვარებია თურმე აზიზ ეფენდიევი და მასზედ გათხოვება სდომებია, თავის საკუთარის ხელის ბეჭედიც კი მიუცია სახსოვრად. ეს ქალის მამას გაუგია, რომელიც აზიზის ოჯახის მტერი ყოფილა და მიუგზავნია მასთან კაცი, რომ თუ ჩემს ქალს თავს არ დაანებებ, ადრევე გატყობინებ, რომ ბოლოს საქმე ცუდად მოგივაო, ეს რომ აზიზ ეფენდიევის ნათესავებს გაუგიათ, რაიმე უსიამოვნების ასაცილებლად, აზიზი ტფილისში გაუგზავნიათ. მაგრამ ბ., როგორც ზემოდაც იყო ნათქვამი, შეუტყობინებია თავის ნათესავისათვის ბაქოში და ეფენდიევი მოუკლევინებია... იმასაც ამბობენ, რომ ბ. ცდილობს, როგორმე მიმალოს ეს საქმეო, მაგრამ, უეჭველია, ამას ვერ მოახერხებსო.... (ჟურ. «Юрид. Обоз.»)

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის განსაკარგებლად და მოსაწყობად, რომ უფრო მეტის ტვირთის ზიდვა შეეძლოს, ვიდრე ეხლაა, ამ რკინის გზის გამგეობას გარდაუწყვეტია, გაზ. «Моск. Вѣд». სიტყვით, ამ წელს თავის ხარჯზედ, სხვათა შორის, შემდეგი წესები შემოიღოს: ა) ტფილისის და ფოთის რკინის გზის სადგურებზე ორი თორმეტ-ძალოვანი მაშინა დასდგას, წყლის მოსამატებლად, რომ რკინის გზას მეტი წყალი ჰქონდეს; ბ) გზატკეცილი გაიყვანოს ქ. ელისავეტოპოლის ნაპირიდგან, ამ ქალაქის შუაგულამდე; გ) მუსუსლის რკინის გზის სადგურზე ახალი წყლის ჭურჭელი მიუმატოს, რომელიც 500 კუბ. საჟენამდე წყალს იტევდეს; და დ) წყალი მიუმატოს სანგაჩალისა და აკ-ბულახის რკინის გზის სადგურებზედ.

ნაკვესი

როცა შამილი პეტერბურგს მიიყვანეს, თეატრში მიიწვიეს. უნდა წარმოადგინათ შილლერის ტრაგედია «ვილჰელმ-ტელი». თარჯიმანმა აუხსნა დაღისტნის გმირს შინაარსი ტრაგედიისა. დაიწყო წარმოდგენა... სცენაზედ გამოჩნდა ალპიის მთები... შეთქმულნი პირობას სდებდნენ, მტარვალები თავიდამ მოვიშოროთო. ყველანი სიამოვნობდნენ, ხოლო შამილი ძლიერ დაღონდა, ღრმად ამოიკვნესა და შავ ფიქრს მიეცა...

— რად დაღონდით? რად ამოიკვნესით? განა არ მოგწონთ? აი რა მშვენიერი მთები მოჩანანო, ჰკითხა შამილს გვერდით მჯდომარე გენერალმა.

— გიკვირთ თუ?!.. მართალი მთები დავკარგე და ტილოზედ დახატულს-ღა ვუცქერიო...

ამ სიტყვების შემდეგ შამილი წამოდგა და გავიდა თურმე თეატრიდამ.

მმართებლობის განკარგულებანი

ებოძა პოდპორუჩიკობა მათის იმპერ. უმაღლ. დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის შავის ზღვის 149 ქვეითის პოლკის პოდპრაპორშჩიკს—კორმაიას; მე-6 კავკასიის რეზერვნი ქვეითის ბატალიონისა პოდ-პრაპორშჩიკს—ნამრაძეს.

—

ხელმწიფე იმპერატორმა ამ წლის 6 მარტს ინება: 1) დაარსდეს ციხეთა საზრუნველო საზოგადოების განყოფილებანი: თელავსა, სიღნაღსა, დუშეთსა, გორსა, ახალციხესა და ახალქალაქში აგრეთვე ქალების განყოფილება იმავე საზოგადოებისა ტფილისში და 2) დამტკიცდნენ დირექტორებად შემდეგნი პირნი:

ა) კომიტეტების დირექტორებად: ტფილისში სახატიო მოქალაქე ალექსანდრე მანთაშოვი, 1 გილდიის ვაჭარი ნიკოლოზ ჯიმშეროვი და თელავში 2 გილდიის ვაჭარი იაგორ ოსკანოვი.

ბ) განყოფილებათა დირექტორებად: ახალციხეში: მაზრის უფროსი კოლლეჟსკი ასსესორი ნიკოლოზ მესხიევი, მომრიგებელი მოსამართლე კოლლეჟსკი სეკრეტარი ალექსანდრე ნაზიმოვი, სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს აგენტი კოლლეჟსკი სოვეტნიკი ნიკოლოზ ბაბიევსკი და ატესტატოსანი პოდ-პოლკოვნიკი სტეფანე მეფისოვი; ახალქალაქში: მაზრის უფროსი კოლლეჟსკი სეკრეტარი თავადი ალექსანდრე სუმბათოვი და სხვანი. გორში: თავადი კონსტანტინე შალიკოვი, თავ. აბესალომ მაჩაბელი, თ. ვასილ ფავლენიშვილი, მომრიგებელი შუა-მავალი გორის მაზრის 1-ის განყოფილებისა თ. ივანე ერისთავი, 2 გილდიის ვაჭრები: გიორგი რომანოვი და ნიკოლოზ ჯულაბოვი, პროვიზორი კარლი შეჰფი; დუშეთში: მაზრის უფროსი ივანე ჩეხოვსკოი, მისი თანაშემწე ცისკაროვი, მაზრის ხაზინადარი სოლომონ ზანდუკელი, ორ-კლასიანის სკოლის ზედამხედველი ილია აბაშიძე, ვაჭარნი: მარტიროზოვი, თათულოვი და გოგიევი. ზანგეზურში: კაპიტანი მორენცი და მღვდელი დადაევი. ნუხში: კაპიტანი თ. ილია თუმანიშვილი, ლუტახინი, მაზარბეკოვი და სარქისოვი. სიღნაღში: მაზრის უფროსი ტიზენგაუზენი, მომრიგებელი შუა-მავალი სვიმონ ანდრონიკაშვილი, იოსებ შალიკაშვილი, რევაზ ვაჩნაძე, ივანე ანდრონიკაშვილი, დეკანოზი ტერ-სარქის ტერ-სტეფანოვი, თ. იოსებ ანდრონიკაშვილი, დეპუტატი ქალაქისა უულიჯანოვი, და ვაჭარნი. სარქისოვი და ლისინოვი. თელავში: თ. გიორგი ჯორჯაძე, ხაზინადარი სვიმონ მელვინეთხუცესოვი, ვაჭარნი: ბაღდოევი, სიმონოვი და გვარდიის როტმისტრი თ. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი.

გ) ტფილისის საქალო განყოფილების დირექტორებათ: ქვრივი გენერალ-ლეიტენანტისა ეკატერინე თადეოზის ასული სტაროსელსკისა, ქვრივი გენერალ-ლეიტენანტისა მარიამ ვასილის ასული კოლიუბაკინისა, ბარბარე ფილიპეს ასული სმიტტენისა, ელენე დავითის ასული ასტაფიევისა, ვერა კონსტანტინეს ასული გროსმანისა, ანნა ალექსის ასული შმაკოვისა, კნ. მარიამ ალექსანდრეს ასული შერვაშიძისა, კნ. ელისაბედ ნიკოლოზის-ასული მუხრან-ბატონისა.

დამაკვირდი!

ფარ-ხმალი დედა-კაცისა ცრემლია.
(შექსპირი)

⁂

ყველაზედ მეტად ქების ღირსი იგია, ვისაც იმოდენა ვაჟ-კაცობა აქვს, რომ თავისი შეცდომა აღიაროს და გაასწოროს. (ფენელონი)

⁂

უმეცრებაზედ გამბედავი არა არის-რა ქვეყანაზედ. (ჟან-ჟაკ რუსსო)

⁂

ხუცესი რა ოჩმალთა უგრვდეს, დიაკვანმან შუშპარისა კიდე რამცა ჰქმნას?..
(სარგის თმოგველი)

⁂

ენისა დაუმჭირავს
ყური აქვს მოუსმენია.
(მეფე ვახტანგ VI)

⁂

რაზამ დიდ იყოს, მაშინ ხამს
კაცი გულითა ჰდაბლობდეს,
კაცს სათნო ეყოს და ღმრთისა
სამართლისოდ ჰმადლობდეს.
(არჩილ მეფე)

⁂

მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან,
განხეთქოს მთა და გორია;
მხნე იყავ და განმღვიერდი,
დავითის რაც უთქვამს, სწორია!
(დავით გურამიშვილი)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დაბა ოჩემჩირე. 15 მარტს. (სამეგრელო) წარსულის წლის «დროების» ერთს ნომერში იყო დაბეჭდილი წერილი ამ სათაურით «წყალი და ხოლერა». ამ წერილში, როგორც მახსოვს, ლაპარაკი იყო პადუის უნივერსიტეტის პროფესორის ბრუნეტის გამოკვლევაზე სხვათა-შორის იმის შესახებ,—თუ რა მნიშვნელობა აქვს წყალს ხოლერის გავრცელებაში. ხოლერას ავრცელებს ყველა ის ჭები, მდინარე და ტბები, რომელშიაც მიკრობები აღმოჩნდებიან. ვისაც ის წერილი წაუკითხავს და თან დაბა ოჩემჩირის ადგილ-მდგომარეობასა და აქაურს ცხოვრებას იცნობს სწორედ ამას იტყვის: აქაური მკვიდრნი რადგანაც უხილავის ძალის მფარველობის ქვეშა ყოფილანო, რომ აქამომდე არც ერთხელ ეს საშიშარი სტუმარი—ხოლერა არ გაჩენილაო.

წყლის გარდა სხვა მრავალი მიზეზებიც მოიხსენება აქ ზაფხულობით ხოლერის ხელის შემწყობი და გამავრცელებელი; ამის გამო აქაურს საზოგადოებას დიდი სიფრთხილე და მეცადინეობა ჰმართებს თავის ჯან-მრთელობის დასაცველად, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში ურემი როცა გადაბრუნდება, გზა, მაშინ გამოჩნდება ხოლმე. აქაურის ცხოვრების ვითარება და ადგილ-მდებარეობა ისეთია, რომ საზოგადოებამ უთუოდ თავის დროზედ სანიტარული საშუალება უნდა იხმაროს. დაბა ოჩემჩირე მდებარეობს ზღვის პირზედ და, თვინიერ ზღვის ნაპირისა, ყოველის მხრით ახლავს ერთობ ჭაობიანი ადგილები; რადგანაც მდინარე ჩამოდის დაბიდგან ნახევარ ვერსტის სიშორეზე, აქაური საზოგადოება წყალს ჭებიდან იღებს. ადვილი წარმოსადგენია, ამ გვარ ჭაობიან ადგილს და მერმე კიდევ ზღვის პირად ჭებში, რა სუფთა წყალი იქმნება. დადგება თუ არა გაზაფხული და გათბება ჰაერი, აქაურ ჭებში ურიცხვი თვალით-შეუნიშნავნი წვრილი ცხოველები ჰჩნდებიან; წყალს საძაგელი სუნი და შმორის გემო ეძლევა. გასაკვირველია, ვისაც შეძლება აქვს, ამ გვარ წყალს აუდუღებლად არ იხმარს; მაგრამ მუშა ხალხი კი, როგორც საზრდოს სამზადებლად, აგრეთვე სასმელათაც სულ ამ ჭებიდგან ხმარობს წყალს. ვინ დაგვარწმუნებს, რომ ამ ჩვენს ჭებში მიკრობებიც არ ჰბუდობდნენ?..

ავიღოთ ეხლა სასმელი: ხორცისა და ღვინის უქონლობა დაბაში ჩვეულებრივი მოვლენაა ისე, რომ ხშირად ჩვენს საზრდოს შეადგენს: პური, ყველი, მწყეთხე მარილიანი აბხაზური და ან დამპალი თევზი; ღვინო თუ ვიშოვნეთ, ისიც მძარი და თუ არა, ამ ჩვენის ჭებიდან ამოღებულ წყალზედ უნდა «გახსენოთ ღვთის სახელი». ამ გვარის გაჭირვებულის ცხოვრების დრო გვიდგება ყოველ წლობით მარტიდან დამოკიდებული აგვისტოს დამლევამდე; შემდეგ კი დაიწყებენ ხოლმე სოფლებიდან ქათმებისა და ინდოურების ზიდვას. მთელის ზაფხულის განმავლობაში აქ ხან ბათუმიდან, ხან სოხუმიდან შემოაქვთ მოყონებული ხილი: მსხალი, ვაშლი, ნესვი, კიტრი, ატამი და სხვა, რომელთაც ჰყიდიან აქ მთელ თვეობით. ესეც გგონებ არ არის ცუდი მასალა ხოლერის და სხვა-სენის გასავრცელებლათ.

თვით დაბის სისუფთავეზედ მხოლოდ ეს შემიძლია ვსთქვა, რომ ერთობ ნესტიან ჰავისაგან და უწესოდ დადგმულ ფეხის ადგილების სუნისაგან ისეთი ჰაერი სდგას სიცხეებში, რომ ზღვის პირზედ კაცის გავლა-გამოვლა შეუძლებელია. ამას დაუმატეთ ახლა ის მოძრაობა მუშა ხალხისა, რომელიც ამ ჟამად ოჩემჩირეში არის; ეხლა აქ არის დიდი მუშაობა ტყისა, სიმინდისა და სხვა ხორაგეულობის სყიდვა-გასყიდვის გამო. სამი კამპანიაა (ამხანაგობა) ამ ჟამად აბხაზეთში, ორი საფრანგეთიდან და ერთი ბელგიიდან ტყის სავაჭრო საქმეების საწარმოებლად, და თითქმის ყოველ ცეცხლის გემით მიდიან და მოდიან თავის მუშებით და ვეჟებით იმათი აგენტები. ხოლო ვინ არიან ეს აგენტები? ეს აგენტები არიან ევროპიელნი და მოგზაურობა აქვთ იმ ქვეყნებშიაც, სადაც ხოლერა ხშირი სტუმარია ხოლმე. ერთის სიტყვით, ჩვენი ოჩემჩირე, თუ ამ თავითვე არ გაუფრთხილდით საქმეს, ამ მომავალ ზაფხულში იქმნება გარემოცული იმისთანა ვითარებით, რომ სწორედ საშიშარია, ამ პატარა მიყრუებულმა დაბამ ტულონსა და მარსელს არ დაუწყოს ჯიბრი და არ უთხრას: «თხა თხის უარესი მგელმა შეჭამოსო».

ჩვენ ჩვენის მხრით ვურჩევთ აქაურს საზოგადოებას, რომ ამ თავითვე შეუდგნენ საქმეს: ამოირჩიონ რამდენიმე კაცი, შეადგინონ სანიტარული დასი და მიანდონ ამ დასს სიმართლე მზრუნველობისა, როგორც დაბის გასუფთავებისათვის, აგრეთვე მაზედაც, რომ როგორმე ამ დასმა გამოიგონოს რაიმე საშუალება და აქაური საზოგადოება აცილოს ბინძურ ჭებიდან წყლის ხმარებას,— მგონებ ეს საძნელო საქმე არ არის; რადგანაც აქ მცხოვრებლების რიცხვი ცოტაა და ნახევარ ვერსტზედ მშვენიერი მდინარე ჩამოდის. ორის წყლის მზიდველი მუშა საკმაო იქმნება ამისთვის. მიანდონ აგრეთვე იმ აღმორჩეულ პირთ, რათა თვალ-ყური ადევნონ ბაზარს, რომ არავინ გაბედოს გაყიდვა ცუდის საჭმელებისა, დამპალის ხილისა და სხვა ამ გვარის მავნებელის ხორაგისა.

საჭირო არის, რომ მოვიგონოთ წარსულის წლის ივლისი და აგვისტო. ამ ორის თვის განმავლობაში აქ ერთი კაციც არ დარჩენილა, რომ მეცდით ავად არ გამხდარიყოს. მართალია, დიდი ზარალი არაფერი მოუტანია აქ ამ სენს, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ყოველთვის «კოკა წყალს არ მოიტანს». ეს ერთი, და მეორე—«ფრთხილთა დედანი არა სტიროდნენო». ღმერთმა აგვაშოროს ავი ჭირი და სენი, თორემ მერმე რაღას ვუშველით თავს. მეტადრე იმისთანა ადგილას, როგორიც ოჩემჩირეა? ექიმმა რომ ერთი ბოთლი კახური ღვინო წამლათ დაგინიშნოს, ან ბათუმიდან და ან სუხუმიდან უნდა გამოიწეროთ; ისიც თუ ამინდია, მოგივა, თუ არა და უნდა უცადო ზღვის პირს ამინდს. თუ დაუბერა ქარმა და აღელდა ზღვა, მშვიდობით არა თუ ერთი ბოთლი კახური ღვინოვ, არამედ ცოლიცა და შვილიც! მოდი და ამისთანა ადგილას ნუ გაუფრთხილდები შენ თავს!!

...ო ...ე

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

საკვირველი, უცნაური დროა ეხლანდელი დრო... ამაზედ უარეს აზრების არევ-დარევას, უმეცრულ გამბედაობას ძნელად-ღა წარმოიდგენს კაცი. ასე წარმოიდგინეთ, რომ თვით უნივერსიტეტებიც კი, ეს მეცნიერების ულეველი წყარო და დედა-ბუდე, შეურაცხ-ყოფილნი არ დარჩნენ. აი, მაგალითად, გაზეთი «Петербургскія Вѣдомости»,—რას არა ჰსწამებს დერპტის უნივერსიტეტს: მთავრობის წინააღმდეგიც არისო, სახელმწიფოს მოღალატეცაო და სრულიად განცალკევებასაც კი ცდილობსო. ახლა გაზეთი «Новое Время» ეცილება: არა, ეს ყველაფერი ჩვენა ვთქვით თქვენზე წინათვეო... ჟურნალ «Гражданинъ»-ს კი ორივესთვინ უჯობნია. თვით სახელ-განთქმულ თავად მეშჩერსკის აღუხვნია ბაგენი და ნიშანში დერპტის უნივერსიტეტი კი არა, ციმბირისა ამოუღია.

> ამ სამი-ოთხის წლის წინად,—გვასწავებს სახელოვანი თავადი,—მთელის რუსეთის სამეფოს მწერლობაში მე ერთად-ერთი ვიყავი, რომელმაც გამბედაობა გამოვიჩინე და პირ-და-პირ, უშიშრადა ვსთქვი: ციმბირის უნივერსიტეტი—დიდი აუარებელი შეცდომაა, რომელიც კი შეუძლიან კაცმა წარმოიდგინოს, თუ სამეცნიერო და სახელმწიფო ინტერესების თვალით შევხედავთ მეთქი. იმათის შეხედვით კი, რომელთაც ჰსურთ, ციმბირი სრულიად რუსეთს გამოაცალონ ეს უნივერსიტეტი, რასაკვირველია, ძალიან სანუკველი და ხეირიანი საქმე იქმნება მეთქი.
>
> მაშინ მე ყველა დამცინოდა...

წარმოიდგინეთ, რომ ეხლაც კი, როდესაც თვითონ მთავრობამ გარდასწყვიტა ციმბირის უნივერსიტეტის გახსნა, ბ-ნ მეშჩერსკის ვერ შეუგვნია თავისი სასაცილო უმეცრება... ოჰ, უცნაურო გონების უმანკოებავ!

⁂

ჩვენის მართლ-მსაჯულობის ერთს შესამჩნევ სენს ესრედ-წოდებულნი «აბლოკატები» შეადგენენ. შეუქმნიათ რაღაც ცოდნის ნაგლეჯები, გაუზეპირებიათ თუთიყუშივით ორიოდე მუხლი კანონისა, მტკიცედ შეუსწავლიათ

რაღაც უცნაური, თავისებური ხრიკები, მაღაც კარგი გაჰხსნიათ,—და აი უცარიელებენ ჯიბეს საწყალ, უმეცარ ხალხსა. ეს დიდი ხანია საზოგადოებამ იცის და მწერლობაშიაც არა ერთხელ ყოფილა ამაზედ ლაპარაკი. აი ეხლა ერთი ვიღაც აშტრახნელი «აბლოკატი» გამოჰქსარჩლებია თავის «მოძმე-აბლოკატებს» და გაზეთ «Астраханскій Листокъ»-ში ფრიად შესანიშნავი წერილი დაუბეჭდია. ავტორი—«აბლოკატი» ამტკიცებს, რომ «აბლოკატებსაც» თვითონვე საზოგადოება ჰბადავსო. აი ამ ახირებულ ავტორის მსჯელობის მაგალითები:

> მდიდარი სახლის ასაშენებლად—მოიჯარადრეს იწვევენ; საქათმის აშენებას-კი ფილიპე ხუროს ანდობენ. მდიდარ სახლის მორთულობას—საუკეთესო მაღაზიაში ყიდულობენ, უბრალო, ღარიბ მორთულობის სყიდვას კი—უხეირო დუქანშიაც კადრულობენ. მდიდრულ, მოსახდენ ტან-დაფეხ-საცმელს პირველ მაღაზიაში აკერვინებენ და თუ უბრალო ტანისამოსი და წაღები უნდათ, მეჯღანესაც სჯერდებიან. ამ გვარათვე დაიბადნენ «აბლოკატებიც»-ო, მდიდარი, რომელსაც ქისაც გატენილი აქვს და საბუთის ქაღალდებიც მზათა მდიდარ ვექილის კაბინეტში მიდის; ღარიბი კი ცარიელის ჯიბით—«აბლოკატების» ქოხს მიჰმართავს ხოლმე. ეხლა ნება მომეცით გკითხოთ, ვისი მოვალეობა უფრო ძნელია?—მდიდარი მოჩივარი რომ მოვა, თან წესიერად შედგენილ სიგელებს, პლანებს, პირ-შეკრულობის ქაღალდებს, ანგარიშის დავთრებს და ამასთან სავსე ქისა ფულს წარმოადგენს; ღარიბი კი—ნასყიდობის ქაღალდის მაგიერ, უბრალო ბარათის ნაგლეჯს მოგაჩეჩებს; პლანისა ხომ ხსენებაც არ არის; ანგარიშის წიგნში სრული უანგარიშობაა; პასპორტიც არ იცის სადა აქვს,—შიმშილის გამო ვინ იცის, ვისთვისა და სად დაუგირავებია; ამას მიუმატეთ კიდევ ვიში და ვაი, ესეც ფულის მაგიერ. მაინც «აბლოკატები» ამ გვარ ღარიბებსაც უყურადღებოთ არ სტოვებენ, ესარჩლებიან და ხშირად ამათ საქმეს კიდეც იგებენ.

აი ნამდვილი «აბლოკატური» მჭევრ-მეტყველობა და ლოღიკა! ჰხედავთ, «აბლოკატები» ვინა ყოფილან: გაჭირვებულის, დავრდომილის, ღარიბის კაცის კეთილ-მყოფელი და მოსარჩლე. გვრწამს, ბატონო «აბლოკატო», გვრწამს თქვენი გულ-მტკივნეული სიტყვები! მხოლოდ ვფიქრობთ კი, რომ თქვენ სიტყვებში «აბლოკატური ხრიკების» მეტი არაფერია...

უცხოეთი

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან მოწერილი ამბავი)

პარიჟი, 26 მარტს.

დეკაზვილის მუშების ამბოხი ჯერ არ გათავებულა. მადნის მეპატრონე კამპანიაც ჭირვეულობს და არ ასრულებს მუშების სურვილს. ჩვეულებრივ მუშები მაშინ დანებდებიან და დაიწყებენ ხოლმე მუშაობას, როცა შიმშილი ნებას აღარ აძლევს, მალას დაატანს. კომპანიაც მგონი ამ მიზეზით ჭირვეულობს, მაგრამ იმის გამოსაჯავრებლად მუშებს მთელს საფრანგეთში ისეთის თანაგრძნობით ეპყრობიან, რომ ყოველის მხრით ხელს უმართავენ ფულით, თუ სხვაფრივ. პარიჟის საქალაქო საბჭომ 10,000 ფრანკი გაუგზავნა მეშახტეთა ცოლ-შვილებს. პარიჟს მიჰბაძეს მარსელმა, ტულონმა, ტულუზმა და სხვა ქალაქებმა. უმწვერვალეს დასის გაზეთებმაც გამართეს ხელის-მოწერა მათ სასარგებლოდ. ერთმა კაცმა რამდენიმე ათასი გირვანქა კარტოფილი და ბისკვიტები შესწირა. ამ ნივთიერს დახმარებასთან მუშებს ზნეობრივადაც ეხმარებიან და აქეზებენ სხვა ქალაქების მუშები და მუშა-დეპუტატები. ცნობილი მუშა-დეპუტატი ბასლი, რომელმაც ამ ორის წლის წინად ითავა ანზენში მეშახტე მუშების ანდრუგა, ეხლაც დეკაზვილშია და მუშებს აგულიანებს. მუშა დეპუტატების გუნდმა, რომელიც რვა კაცისგან შესდგება, დაბეჭდა მანიფესტი, და ყველას იწვევს, მუშებს ხელი გაუმართოთო.

დეკაზვილის ამბავმა პარლამენტში ბაასი ასტეხა მადნების მფლობელობის შესახებ. საფრანგეთში მადნები ერის საკუთრებაა, ხოლო შესამუშავებლად არის გაცემული და კომპანიებს აქვთ იჯარით აღებული 1810-იდგან. კომპანია მუშაობს მადნებში თავის ნებაზე, მმართებლობას შეუძლიან მადნების საქმეში გარიოს მარტო მაშინ, როცა საერო საკუთრებას რაიმე შიში მოელის.

ვისაც მადნების შემუშავების ეხლანდელი წესი არ მოსწონდათ, ეხლა მოინდომეს რომ მადნები მუშების საზოგადოებას მისცემოდა შესამუშავებლად ამ განძრახვით გამოკითხა მართებლობას მუშა-დეპუტატი კამელინა. მუშებმა მუშაობაზე ხელი იმიტომ აიღეს, რომ მადნებში ცეცხლი ჩნდებაო და თუ გინდათ მადანი არ დაიღუპოს, საჭიროა კომპანიას ჩამოერთვას და მუშების საზოგადოებას გადაეცესო. სწორედ მოგახსენოთ, ამ წინადადებას მალიან ცოტა მომხრე გამოუჩნდა. მმართებლობამ სთქვა, რომ მადნების ჩამორთმევა არ შეიძლება, რადგან ჯერ არაფერი შიში არ მოელისო. ტყუილია ის ამბავიც, ვითომ მადნებში ცეცხლი ჩნდებაო. რესპუბლიკელების უმეტესი ნაწილი აღარ გამოეკიდა საქმეს და მოითხოვა, რომ მმართებლობამ მადნების შემუშავების წესი შესცვალოს, მუშების სასარგებლოდ. მართებლობამაც თავს იდვა ესა და ბაასი ამით გათავდა პარლამენტში.

(შემდეგი იქნება)

დეპეშა

27 მარტს

პეტერბურგი. იუსტიციის სამინისტრომ შეიტანა დასამტკიცებლად კანონ-მდებლობის წესით პროექტი იმის თაობაზედ, რომ შეიცვალოს იგი ნაწილი სასისხლო განსამართლების წესდებულებისა, რომელიც შეეხება ნაფიცთა მსაჯულთათვის გარდასაცემ კითხვათა დადგენას. პროექტში მოხსენებულია, რომ ნაფიცთა მსაჯულთა ნება მიეცეთ პირ-და-პირი მონაწილეობა მიიღონ მაგ კითხვათა დადგენასა და ხატკვით აღნუსხვაში იმის და გვარად, როგორც ეგ ნება მინიჭებული აქვთ პროკურორსა და მოსარჩლეს.

ივანოვო-ვოზნესენკში დაარსდა განყოფილება სახელმწიფო ბანკისა.

გუშინ მოსკოვიდამ მინაგანთა საქმეთა მინისტრი მოვიდა.

ლონდონი. *Times*-ის სიტყვით, გუშინდელ მინისტრთა კრებაში გლადსტონმა მარტო მათ აიცილა სხვა მინისტრთა გადადგომა სამსახურიდამ, რომ თანახმა გახდა არსებითად შესცვალოს თავისი პროექტი ირლანდიის შესახებ.

ბერლინი. პრუსიის სეიმის დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი მასზედ, რომ შემწეობა აღმოუჩინონ გერმანიის კოლონიზაციას პრუსიის აღმოსავლეთ პროვინციებში. პოლშელთა დასმა უარი სთქვა, მაგ საქმის თაობაზედ პალატის ლაპარაკსა და სჯაში მონაწილეობას არ მივიღებთო.

სტამბოლი. მთავარი ალექსანდრე, როგორც ეტყობა, დაეთანხმება სახელმწიფოთა სურვილს, ხოლო იმ პირობით, რომ შეცვლილ მორიგებას ოსმალთ-ბოლგართ მორიგების სახელი კი არ დაერქვას, არამედ ოსმალთ-ევროპიისაო, რადგანაც მთავარს ალექსანდრეს ჰსურს დაემორჩილოს მხოლოდ სახელმწიფოთა-შორისებურს განაჩენსაო.

რუსეთის ელჩი ნელიდოვ ლივადიაში მიდის.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 თებერვალს, დიდ-მარხვა—23 თებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს კვირით და 6 დღით არის.

მარტი 31 დღით არის

25 დღე სამშაბათი. ხარება ყოვლად-წმიდის ღვთის-მშობლისა მარიამისა კათ. ხარება. მუსულ. მეორე დღე თთვისა რეჯებ 1303 წ. ჰიჯრისა.

შობა მ. უმაღ. ქსენია ალექსანდროვნასი 1875 წ. მობძანდა ტფილისს გრაფი მიხეილ სვიმონის-ძე ვარანცოვი 1845 წ. ძეგლი აუგეს თავადს მიხეილ სვიმონის ძეს ვარანცოვს 1867 წ. მეფე ვახტანგს რომ პეტერბურგს ქართველები გაჰყვნენ, იმათგან შესდგა გუსარების როტა და ისეთივე ჯამაგირი დაენიშნათ, როგორიც დრაგუნებს ჰქონდათ. ვინც ამათგანი თავადი იყო, ებოძა 30 კომლი გლეხი, მათ შვილებს 5 კომლი, ვინც აზნაური იყო 10 კომლი. ამასთანავე მიწები დაურიგდათ უკრაინაში 1738 წ.

მთვარე სამის დღისაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—25. ტფილისში მზე ამოდის 5—34. ჩადის 6—32. მთვარე ამოდის 6—ჩადის 85—87; ღ.

26 დღე ოთხშაბათი. კრება გაბრიელ მთავარ-ანგელოზისა. კათ. ლიუდგერისა; მუსულ. რაჭაბის ღამე. მიცვალების დღე ალიშაგისი (შიიტებისა). ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—8. ტფილისში მზე ამოდის 5—33; ჩადის 6—33. მთვარე ამოდის 7—35, ჩადის 9—11 ღ.

27 დღე ხუთშაბათი. წმ. იოანე წინასწარ-მხედველისა, კათ. რუპერტისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—51. ტფილისში მზე ამოდის 5—31; ჩადის 6—34. მთვარე ამოდის 8—14; ჩადის 10—10 ღ.

28 დღე პარასკევი. ღირსისა ილარიონისა, სომეხთა ნახატოქ. კათ. სიქსტისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—34. ტფილისში მზე ამოდის 5—30, ჩადის 6—35. მთვარე ამოდის 9—3; ჩადის 11—12 ღ.

29 დღე შაბათი. ღირსისა მარკოზ ეპისკოპოსს. კირილე დიაკონისა, სომ. წმ. მამისა სომეხთა გრიგოლ განმანათლებელისა ხაროში ჩაშვება. კათ. ევსტაზისი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—18. ტფილისში მზე ამოდის 5—28; ჩადის 6—36. მთვარე ამოდის 9—55; ჩადის 12 შღ.

30 დღე კვირა. ღირსისა იოანესი, ზოსიმე ეპისკ. კათ. *mater dolorosa*. პირველი ხარისხი მთვარისა საღამოს 11 საათ. 44 წ. იწყობა ტფილისში. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—2. ტფილისში მზე ამოდის 5—26; ჩადის 6—37, მთვარე ამოდის 10—52; ჩადის 12—8 ნღ.

31 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. იპატი ეპისკ. ღირსისა აპოლონისა, წმ. იონასი. კათ. ბალბინისა, კორნელისა და ვენიამინისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—46. ტფილისში მზე ამოდის 5—25; ჩადის 6—38. მთვარე ამოდის 12—1; ჩადის 1—1 ნღ.

მაზანდა.

1 მარტიდამ 1-ლ აპრილამდე.

1 გირვ. . . . 5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხ. სა. 2½ ,
, , 2 , 2 ,
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში
1-ლის ხარისხისა . . . 4½ ,
მე-2 ხარისხისა . . . 3
მე-3 — . . . 2½ ,
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა . 8 ,
2 — . . . 7 ,
ჩალალაჯი და ცალკე ამოჭრილი
სუკი . . . . 14 ,
ცხვრის ხორცი . . . . 9 ,

გამოსადეგი ცნობანი.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
თაბუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კაჯაჯ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კაჯაჯში შედის — — 5 ს. 15 წ.
კაჯაჯიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31-

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კაჯაჯში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კაჯაჯიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსდა კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

გრ. ჩარკვიანის
ქართულ წიგნის მაღაზიაში
ისყიდება
ბ. ალ. მირიანაშვილისაგან შედგენილი:

პატარა მოამბე, საყმაწ. წიგნი › 10 კ.
საკლასო დედანი, ფურც. . › 10 ›
იგივე, კარდონზედ გაკრული. › 60 ›
მოძრავი ანბანი, ყუთში . . 1 მ. ›
საოჯახო დედანი, ფურც. . › 3 ›
იგივე, კარდონზე გაკრული. › 7 ›
ანბანი კუბიკებზედ, ოჯახში
სახმარებელი. . . . . 1 მ. ›
(5—4)

Prince T. Dadischkéliani
L' ARMÉE-GÉORGIENNE
au
Moyen âge
par
J. Mourier
თ. თათარხან დადიშქელიანი
საქართველოს მხედრობა
შედგენილი
მურიესმიერ

დაიბეჭდა და ისყიდება
საყმაწვილო სურათებიანი წიგნი
,,მელიას თავ-გადასავალი"
წიგნში 33 სურათია, ფ. 20 კ.

ისყიდება გრიქუროვისა და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში. ვინც ირ-და-პირ გამომცემლისგან დაიბარებს არა ნაკლებ ოცის წიგნისა, მას ეანათზედ ერთი აბაზი დაეთმობა. ადრესი: Тифлисъ, Татишвили, Акимовская ул. № 22.

Дозволено цензурою Тифлисъ 27 марта, 1886 г. ქქ. ხელაძის სტამბა თავის საკუთ. სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.